ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2420425

ნომერი: AR1372607

თარიღი : 23.01.2016

გაცემის თარიღი : 12.02.2016

გაცნობის თარიღი : 12.02.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , პირველი ქუჩა N33. , (ნაკვეთი N3/42) / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , მიმდებარედ ნაკვეთი 03/062/ ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , შპს "იმედი-2000"-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ჯავახეთის და ლაღიძის ქუჩების გადაკვეთაზე/ ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , პირველი ქუჩა N33. , (ნაკვეთი N3/33) / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/047)/ ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა I , N33-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოშრევან უცუნაშვილი პ/ნ 01011011887
- აეროდრომის დასახლება მ,ე7 ქუჩა ბ 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 23 იანვარს #AR1372607 განცხადებით მომართა ნოშრევან უცუნაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის #233153 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება კერძოდ, 2015 წლის 07 დეკემბრის #2331532 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების, ჭრილების, ფასადების ჩანაცვლება 2016 წლის 23 იანვრის #AR1372607 განცხადებით წარმოდგენილი გეგმა–ნახაზებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის #2331532 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, პირველი ქუჩა #33., (ნაკვეთი #3/42) / ქალაქი თბილისი, ქუჩა კალოუბანი, მიმდებარედ ნაკვეთი 03/062 / ქალაქი თბილისი, ქუჩა კალოუბანი, შპს "იმედი-2000"-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ჯავახეთის და ლაღიძის ქუჩების გადაკვეთაზე / ქალაქი თბილისი, დასახლება აეროდრომი, პირველი ქუჩა #33., (ნაკვეთი #3/33) / ქალაქი თბილისი, ქუჩა კალოუბანი, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/047) / ქალაქი თბილისი, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, #33-ის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.19.36.003.077), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 07 დეკემბრიდან 2016 წლის 07 თებერვლის ჩათვლით.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2015 წლის 07 დეკემბრის #2331532 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, 2015 წლის 07 დეკემბრის #2331532 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების, ჭრილების, ფასადების ჩანაცვლებას 2016 წლის 23 იანვრის #AR1372607 განცხადებით წარმოდგენილი გეგმა–ნახაზებით. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შეცვლილია გეგმები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას. კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად განაცხადი შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული განაცხადები – მშენებლობის ნებართვა – ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები – მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა, განსაზღვროთ შენობის პარამეტრები, ქმედებებში – შეთანხმებული პროექტის ცვლილება, რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას PDF ფაილის სახით.

სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწვეტილებას.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.